ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მი. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის № 038/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - მ. ნ./სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 22 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მი. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 13 მაისს მი. ნ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მეუღლის დედამ - ქ. მ.-მ, ქ. სამტრედიაში, მდებარე უძრავი ქონება ანდერძის საფუძველზე დაუტოვა საჩივრის ავტორის შვილს - ა. ნ.-ს. 1988 წლიდან უძრავი ქონების გადასახადები და სხვა ვალდებულებები გადასული იყო ბინის კანონიერი მფლობელის - ა. ნ.-ის სახელზე. ამავდროულად, ამ სახლში ცხოვრობდა შორეული ნათესავი - ც. თ., რომელიც ბინაში ჩაწერილი არ იყო და მხოლოდ სტუმრად იმყოფებოდა. 1992 წელს ა. ნ. წავიდა რუსეთში. მისი არყოფნის დროს, ც. თ.-მ მიიღო ბინები, შემდეგ გაყიდა და კვლავ ა. ნ.-ის ბინაში დასახლდა. ამასთან, მან იურისტების - ლ. ყ.-ის, მ. ს.-ის და მ. თ.-ის დახმარებით ქ. მ.-ს სახელზე შეადგინა ყალბი დოკუმენტი, თითქოს ამ უკანასკნელს ც. თ.-ის შვილად აყვანა სურდა და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა სასამართლო პროცესი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოში დაბრუნებული ა. ნ. საკუთარ სახლში (მდებარე ქ. სამტრედია, დ. ა.-ის NX) არ შეუშვეს და მან აღნიშნული დავის გადასაწყვეტად

მიმართა ადვოკატ მ. ნ.-ს. ადვოკატმა საქმის წარმოებისთვის ჰონორარის სახით მიიღო თანხა - 780 ლარის ოდენობით. ამის შემდგომ, ა. ნ.-მ დატოვა საქართველო და მინდობილობა გააფორმა მისი დის - ნ. ნ.-ის სახელზე აღნიშნული საქმის წარმოების მიზნით.

1.4 2016 წელს მი. ნ. პერიოდულად ხვდებოდა ადვოკატ მ. ნ.-ს, თუმცა საქმე წინ არ მიიწევდა. ამის შემდგომ, ადვოკატმა მ. ნ.-მ მი. ნ.-ს საქმის დასასრულებლად დამატებით ჰონორარის სახით 150 ლარი მოსთხოვა, რომელიც ამ უკანასკნელმა ადვოკატს გადასცა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში მ. ნ. მას დაუკავშირდა და დამატებით 500 ლარის გადაცემა მოითხოვა, რადგან მისი შვილი საჭადრაკო ტურნირით რუმინეთში მიემგაზვრებოდა და თანხა ესაჭიროებოდა. მოცემული თანხაც მი. ნ.-მ გადასცა ადვოკატს. მიუხედავად ყველაფრისა, საქმე არ დასრულებულა და საჩივრის ავტორი ვერც ადვოკატთან დაკავშირებას ვერ ახერხებს.

1.6 საჩივრის ავტორი ითხოვს კუთვნილი თანხის - 1430 ლარის და საბუთების დაბრუნებას, რათა შეძლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით საქმის წარმოების გაგრძელება.

2. მოწმე - ა. თ.-ის ახსნა-განმარტება:

2.1 2019 წლის 13 მაისს მოწმე - ა. თ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, 2015 წელს მასთან მივიდა მი. ნ.ს შვილი, ა. (ბ.) ნ.ი, რომელიც იყო მისი თანაკლასელი. ა. ნ. საქართველოში არ ცხოვრობს და მაშინაც რამოდენიმე დღით იყო ჩამოსული სამტრედიაში. 2015 წელს შემდგარი შეხვედრის დროს, ა. ნ.-მ აუწყა ა. თ.-ს, რომ აპირებდა სარჩელის შეტანას კერძო დავასთან დაკავშირებით და ამ საქმეზე აყვანილი ჰყავდა ადვოკატი. საქმე ეხებოდა ოჯახურ დავას სახლთან დაკავშირებით.

2.2 მოწმის განმარტებით მისთვის უცნობია, აღნიშნულ საქმეს უშუალოდ ა. ნ. აწარმოებდა თუ მისი მამა - მი. ნ..

2.3 მოწმის განმარტებით, შემდგომში ა. ნ.-მ დატოვა საქართველო, ხოლო თავად საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით დაუკავშირდა აბესალომის მამას - მი. ნ.-ს. ამ უკანასკნელმა კი აუწყა, რომ საქმის მიმდინარეობით არ იყო კმაყოფილი და ეჭვი ჰქონდა, რომ ადვოკატი ატყუებდა. ამის შემდგომ, დაახლოებით 6-7 თვე გავიდა, თუმცა საქმე წინ მაინც ვერ მიიწევდა. ა. თ.-მ მი. ნ.-ს გამოართვა ა. ნ.-ის ადვოკატის - მ. ნ.-ის ნომერი და თავად გაესაუბრა მას. საუბრის დროს, მ. ნ.-მ განმარტა, რომ ხელშემშლელი გარემოებები ჰქონდა, მაგრამ საქმეს ბოლომდე აუცილებლად მიიყვანდა.

2.4 მოწმის განმარტებით, მოცემული საუბრიდან დაახლოებით 3 თვის შემდეგ, მას დაუკავშირდა მი. ნ. და აუწყა, რომ ადვოკატ მ. ნ.-ისგან კვლავ არაფერი ისმოდა. ა. თ. ცდილობდ ტელეფონით მ. ნ.-სთან დაკავშირებას, მაგრამ დაკავშირება მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც სხვა ნომრიდან დაურეკა და ისინი შეთანხმდნენ შეხვედრაზე. შეხვედრა შედგა დაახლოებით 2016 წლის დასაწყისში. აღნიშნული საუბრის დროს, მ. ნ.-მ განმარტა, რომ ფული იყო დასამატებელი, შემდეგ, მათ შეუერთდა მი. ნ.-ც და ა. თ.-ის თვალწინ მ. ნ.-ს დამატებით გადასცა 150 ლარი.

2.5 მოწმის განმარტებით, მი. ნ.-ს მ. ნ.-სთვის მანამდე უკვე მიცემული ჰქონდა თანხა, 700 ლარზე მეტი და აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მოწმეები არსებობენ. მოწმის განმარტებით, მას აღნიშნული თანხის გადაცემის შესახებ ინფორმაცია აქვს მი. ნ.-სგან.

2.6 2017 წლის შემოდგომაზე, მი. ნ.-მ სთხოვა ა. თ.-ს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ისთვის სახლში მიეკითხათ, რადგან იგი კვლავ არ გამოდიოდა კონტაქტზე. ამის შემდეგ, 4 პიროვნება ა. თ., მი. ნ., მი. ნ-ის შვილი - ნ. ნ. და მეზობელი - ლ. გ. მივიდნენ მ. ნ.თან სახლში. ადვოკატმა მ. ნ.-მ მათ განუმარტა, რომ ამ საქმეს დიდი დრო სჭირდებოდა, მას პირველ ინსტანციაში დავა უკვე მოგებული ჰქონდა და ახლა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა სამართალწარმოება, თუმცა ნ.-ებისს ოჯახმა ამ ფაქტის შესახებ არაფერი არ იცოდა.

2.7 მოწმის განმარტებით, მათ გაიკითხეს საქმის წარმოების შესახებ, თუმცა როგორც დადასტურდა, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მსგავსი საქმე წარმოებაში მიღებული არ იყო.

2.8 მოწმის განმარტებით, აღნიშნული ფაქტების შემდეგ მ. ნ.-მ მი. ნ.-სგან დამატებით მოითხოვა 500 ლარი, რადგანაც მის შვილს საჭადრაკო ტურნირი ჰქონდა საზღვარგარეთ და დახმარება სჭირდებოდა. ნ.-ებისს ოჯახმა 300 ლარი მეზობლისგან ისესხა, რომელსაც შეუძლია აღნიშნული ფაქტის დადასტურება და მ. ნ.-ს გადასცეს 500 ლარი. მოწმის განმარტებით, მისთვის თანხის გადაცემის შესახებ ცნობილია თავად მი. ნ.-სგან.

2.9 მოწმის განმარტებით, მ. ნ.-ს ჯამში დაახლოებით 1400 ლარი აქვს აღებული, მაშინ როცა მის მიერ საქმის წარმოება დაწყებულიც კი არ არის.

3. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ნ.-მ 2019 წლის 10 აპრილს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც მას მი. ნ.-სთან არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

2.2 ადვოკატი მ. ნ. სამართლებრივ დახმარებას უწევდა ა. ნ.-ს, მათ შორის კი არანაირი უთანხმოება არ ყოფილა და აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის გადამოწმება თავად ა. ნ.-სთან არის შესაძლებელი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მი. ნ.-მ სამართლებრივ საკითხებზე დახმარება ნამდვილად სთხოვა 2018 წლის აგვისტოში, მაგრამ ამ დროისთვის იგი მიემგზავრებოდა ლატვიაში გამართულ საჭადრაკო ტურნირზე დასასწრებად, სადაც მისი შვილი - დ. ნ. მონაწილეობდა. შესაბამისად, მი. ნ.-ს დახმარებაზე უარი უთხრა. ამის შემდგომ, მი. ნ.-მ კვლავ სთხოვა სამართლებრივ საკითხზე დახმარება ოქტომბრის თვეში, თუმცა ამ დროისთვისაც ესპანეთში იმართებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც ადვოკატის შვილი იღებდა მონაწილეობას და მ. ნ.-მ საადვოკატო მომსახურებაზე კვლავ უარი უთხრა, რამაც ამ უკანასკნელის განაწყენება გამოიწვია. ადვოკატის განმარტებით, მისთვის უცნობია, თუ რამ გამოიწვია მი. ნ.-ს უკმაყოფილება, რადგან იგი მასთან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფებოდა და შესაბამისად, არანაირი ვალდებულება მის წინაშე არ აკისრია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მი. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 22 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მ. ნ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

6. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ნ.-მ საჩივრის ავტორის შვილის - ა. ნ.-ის საქმეზე არ გამოიჩინა შესაბამისი ყურადღება, საქმის წარმოებისათვის და მისი წარმატებით დასრულებისთვის არ განახორციელა შესაბამისი მოქმედებები. ამასთან, ადვოკატს მი. ნ.გან მიღებული აქვს ჰონორარის სახით - 1430 ლარი და ითხოვს მოცემული თანხის უკან დაბრუნებას.

5.2 განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ მ. ნ.-სა და ა. ნ.-ს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ა. ნ.-ს ჰქონდა სამართლებრივი დავა ქ. სამტრედიაში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მან მისი ბებიის - ქ. მ.-სგან ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეობით მიიღო.

5.3 მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა რწმუნებულისა და მარწმუნებლის სახით წარმოიშვა საჩივრის ავტორის შვილს - ა. ნ.-სა და ადვოკატ მ. ნ.-ს შორის. საჩივრის ავტორისა და მოწმის განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა განეხორციელებინა საჩივრის ავტორის შვილის საქმეზე.

5.4 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. ნ.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ამასთან, საჩივრიდან არ იკვეთება, კონკრეტულად, რა იურიდიული მოქმედებები უნდა განეხორციელებინა ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მან რამდენჯერმე ადვოკატს მოთხოვნისთანავე გადასცა თანხა საქმის საწარმოებლად, თუმცა ადვოკატი მ. ნ. არ ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას. საჩივრის ავტორის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, მათ შორის მინდობილობა ან/და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ჰონორარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც დადასტურდებოდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობა საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. ნ.-ს შორის. ამასთან, საპროცესო კოლეგიისთვის უცნობია საჩივრის ავტორის შვილის - ა. ნ.-ის პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მომართვაზე უფლებამოსილი იქნება ის პირი, ვისაც ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო უშუალოდ მიადგა ზიანი და მისი უფლებების შესაძლო დარღვევა გამოიწვია. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ

შესაძლებელია ა. ნ.-ის მამა - მი. ნ. საკუთარი შვილის საქმის წარუმატებლობის გამო თავს თვლიდეს დაზარალებულად, რეალურად ის პირი, ვისაც შეუძლია საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ იდავოს არის ა. ნ., რომელსაც ეთიკის კომისიისთვის საჩივრით არ მოუმართავს.

5.6 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივრით მომართვისთვის უფლებამოსილ პირად აღიარებულია ის, ვისი ინტერესებიც და უფლებებიც უშუალოდ დაირღვა ადვოკატის ქმედების შედეგად. ა. ნ.-ის პოზიციის არარსებობის პირობებში, ეთიკის კომისია ეყრდნობა პრეზუმფციას, რომ ა. ნ.-ს თავისი ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ აქვს. ამას განამტკიცებს ადვოკატ მ. ნ.-ის ახსნა-განმარტება, რის მიხედვითაც, მასსა და ა. ნ.-ს შორის არანაირი უთანხმოება არ არსებობს და აღნიშნულის გადამოწმების შესაძლებლობა არსებობს. ადვოკატის განმარტების გამაბათილებელი, საწინააღმდეგო პოზიცია მოდავე მხარეს არ წარმოუდგენია.

5.7 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ა. ნ.-მ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მინდობილობა გაუფორმა საკუთარ დას - ნ. ნ.-ს. კოლეგიის შეფასებით, ნ. ნ., როგორც შესაბამისი მინდობილის საფუძველზე, ა. ნ.-ის ნდობით აღჭურვილი პირი იქნებოდა სათანადო განმცხადებელი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარმოდგენილია არა ნ. ნ.-ის, არამედ მი. ნ.ს მიერ.

5.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კონკრეტული პირისთვს რწმუნებულობის მინიჭება შესაბამისი დოკუმენტით უნდა იყოს დადასტურებული და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი პირი მეორე სრულწლოვანი პირის მშობელია არ არის საკმარისი მისი წარმომადგენლობის განხორციელებისთვის. შესაბამისი მინდობილობის გარეშე, სხვა პირის ნაცვლად სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელება დიდ საფრთხეს შეუქმნიდა სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას, რადგან ვერ მოხდებოდა იმ პირის ინტერესების გათვალისწიენება, რომლის წარმომადგენლობასაც ახორციელებენ.

5.9 რადგანაც კოლეგიისთვის უცნობია ა. ნ.-ის პოზიცია და საჩივარი წარმოდგენილია იმ პირის მიერ, კერძოდ, მი. ნ.ს მიერ, რომელსაც არ გააჩნდა შვილისგან მინიჭებული მინდობილობა, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ადვოკატ მ. ნ.-ის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობის შესახებ.

5.10 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივარი წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამიტომ, ეთიკის კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო მოსაჩივრის - ა. ნ.-ის ინტერესების და პოზიციის გათვალისწინების გარეშე.

5.11 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მი. ნ.ს განმარტებით, მან მ. ნ.-ს ჯამში გადასცა 1430 ლარი. აღნიშნული თანხიდან 780 ლარი გადასცა თავდაპირველად, რათა ადვოკატს მისი შვილის საქმეზე განეხორციელებინა შესამაბისი სამართლებრივი მოქმედებები, ხოლო ადვოკატის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაახლოებით 2016 წლის დასაწყისში დამატებით გადასცა 150 ლარი. აღნიშნული თანხა, წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საფასურს. რაც შეეხება 500 ლარს, იგი მი. ნ.-მ სესხის სახით გადასცა მ. ნ.-ს, რადგანაც, ამ თანხის გადაცემის მიზანი არ იყო ადვოკატის მხრიდან საადვოკატო მომსახურების განხორციელება, არამედ მისი შვილის - დ. ნ.-სთვის საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობისთვის დახმარების გაწევა. აქედან გამომდინარე, გადაცემული 500 ლარი არ წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების საფასურს.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ადვოკატისთვის თანხის გადაცემა/დაბრუნების მართლზომიერების საკითხის განხილვა არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის კომპეტენციას, რადგანაც თანხის დაბრუნება არ შედის ეთიკის კომისიის განხილვის უფლებამოსილების ფარგლებში. მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“ და მე-6 მუხლით, რომლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის; აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორი - მი. ნ. არის არაუფლებამოსილი პირი, რაც შეუძლებელს ხდის ასეთ ვითარებაში კანონით დადგენილი წესით სამართლებრივი შედეგის დადგომას და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28.7 და 32-ე-33-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 4.5 და 4.6 პუნქტებით, 9.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 40.1 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე № 038/19 ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/